საქართველოს მთავრობის განკარგულება

№2682 2017 წლის 27 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მიერ სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროგრამისათვის – „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში (პროგრამული კოდი – 27 01 02), სტაციონარული და ამბულატორიული ტიპის სამედიცინო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 2 500 000 (ორი მილიონ ხუთასი ათასი) ლარის ზღვრული ოდენობის ფარგლებში.

2. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის №1

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**